ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13/22

2018 წლის 30 მაისი

ქ. ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის **საკრებულო ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

1.დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი თანახმად დანართისა.

2.აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის №9/14 დადგენილებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ფოთის საკრებულოს
თავმჯდომარე ირაკლი კაკულია